



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 245/ს  
29/05/2023

245-21-4-202305291411



**სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220 კვ. „პალიასტომი 1“-ის შეჭრის 220/110/35 კვ. ქ/ს „ოზურგეთში“ და 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და ქვესადგური „ოზურგეთის“ განთავსების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია 220 კვ. „პალიასტომი 1“-ის შეჭრა 220/110/35 კვ. ქ/ს „ოზურგეთში“, 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და 220/110/35 კვ. ქვესადგური „ოზურგეთის“ განთავსების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2019 წლის 12 ნოემბერს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 220 კვ. „პალიასტომი 1“-ის შეჭრა 220/110/35 კვ. ქ/ს „ოზურგეთში“ და 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და ქვესადგური „ოზურგეთის“ განთავსებასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N2-1078).

გზმ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პროექტი მოიცავს არსებული 220 კვ „პალიასტომი 1“-დან საპროექტო 220/110/35 კვ. ქ/ს-მდე („ოზურგეთი“) დაახლოებით 2,7 კმ სიგრძის, 220 კვ. ახალი ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის („პალიასტომი 1“-ის შეჭრა ქ/ს „ოზურგეთში“) მშენებლობას, 220/110/35 კვ. ქვესადგურის („ოზურგეთი“) მშენებლობასა და ასევე, საპროექტო 220/110/35 კვ. ქვესადგური „ოზურგეთიდან“ მშენებარე „ზოტიჰესამდე“ 45 კმ სიგრძის, 110 კვ. ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის („ოზურგეთი-ზოტიჰესი“) მშენებლობას. 220 კვ. ეგხ-ს მიზანია 220 კვ ეგხ-ის „პალიასტომი 1“-ის საშუალებით, საპროექტო 220/110/35 კვ. ქ/ს-ის ქსელთან მიერთება. 220 კვ. ეგხ-ის პირველი ნაწილი (დაახლოებით 450 მ) განთავსდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ხოლო მეორე ნაწილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხაურში. ეგხ-ის საწყისი მონაკვეთი იწყება არსებული 220 კვ. ეგხ „პალიასტომი 1“-თან, ოზურგეთი-ბათუმის ავტომაგისტრალის მიმდებარედ და მიემართება ქ/ს „ოზურგეთისკენ“. 110 კვ. ეგხ, რომლის სიგრძე 45 კმ-ია, განთავსდება ოზურგეთის და

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში. ელ. გადამცემი ხაზის ტრასა იწყება ქ. ოზურგეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სოფ. ლიხაურის ტერიტორიაზე 220/110/35 კვ ძაბვის ქ/ს-დან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდა წინასამშენებლო გეოლოგიური, გეოდეზიური, ბიოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა კვლევები, ასევე, დაზუსტდა კერძო საკუთრებების საზღვრები, რის შედეგადაც გამოვლინდა დაგეგმილ საქმიანობაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება, კერძოდ, 220 კვ. ეგხ-ის დერეფანში, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 12 ანძის ნაცვლად, განთავსდება 10 ანძა, ხოლო 110 კვ ეგხ-ის დერეფანში 180 ანძის ნაცვლად - 162 ანძა, ასევე, რიგ შემთხვევაში მცირედით შეიცვლება ეგხ-ის დერეფნის მარშრუტი, ხოლო რიგ შემთხვევაში დაზუსტდება საყრდენების განთავსების პოლიგონები (იმავე ბუფერში). ელექტროგადამცემი ხაზების (220 კვ. ეგხ და 110 კვ). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, ასევე, გათვალისწინებულია საყრდენებამდე მისასვლელი დროებითი და მუდმივი გზების განთავსების ადგილების დაზუსტება. დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ შეეხება 220/110/35 კვ. ქვესადგურ „ოზურგეთს“. დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით ეგხ-ის დაცვის ზონიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 200 მეტრის მანძილზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, 220 კვ. ეგხ-ის დერეფანში საწყის, დაახლოებით 550 მ სიგრძის მონაკვეთზე, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული 4 ანძის ნაცვლად მოეწყობა 3 ანძა. აღნიშნული მონაკვეთის შემდგომ, მცირედით შეიცვლება ეგხ-ის თავდაპირველი დერეფნის მარშრუტი, კერძოდ, 1250 მ სიგრძის მონაკვეთი, რომლის განთავსებაც გათვალისწინებული იყო არსებული სადრენაჟე არხის მარჯვნივ, გადაინაცვლებს არხის მარცხენა მხარეს, პირვანდელი განთავსების ადგილიდან 250 მეტრში და ამასთანავე, აღნიშნულ მონაკვეთზე, 5 ანძის ნაცვლად, მოეწყობა 4 საყრდენი. აღნიშნულის შემდგომ, ეგხ-ის 900 მ სიგრძის მონაკვეთი დაუბრუნდება გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ დერეფანს და დაუერთდება 220/110/35 კვ. ქვესადგურ „ოზურგეთს“.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, 110 კვ. ეგხ-ის საწყის მონაკვეთი (დაახლოებით 13,9 კმ) რჩება იმავე ბუფერში და აღნიშნულ მონაკვეთზე გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული 59 ანძის ნაცვლად მოეწყობა 51 საყრდენი. ეგხ-ის მეორე მონაკვეთზე (დაახლოებით 2,89 კმ) ეგხ-ის დერეფანი გადაინაცვლებს პირვანდელი განთავსების ადგილიდან 600 მეტრით და 12 ანძის ნაცვლად განთავსდება 10 საყრდენი. ეგხ-ის მესამე მონაკვეთი (8,7 კმ) დაუბრუნდება გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ მარშრუტს და 35 ანძის ნაცვლად, მოეწყობა 29 საყრდენი. ეგხ-ის მეოთხე მონაკვეთის (3,89 კმ) დერეფნის, პირვანდელი განთავსების ადგილიდან გადაინაცვლებს 850 მეტრით და აღნიშნულ მონაკვეთზე 16 ანძის ნაცვლად, განთავსდება 14 საყრდენი. როგორც უკვე აღინიშნა, 110 კვ ეგხ-ის დერეფნის ცვლილება

გათვალისწინებულია მეორე (2,89 კმ) და მეოთხე (8,7 კმ) მონაკვეთებზე, სადაც ეგხ-ის ბუფერი მიუყვება გომისმთის ჩრდილოეთის ფერდს და სწორხაზოვნად მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, ალპურ მთიან ზოლში, საიდანაც ეგხ-ის დერეფანი გადადის საყვირალას ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე, შემდგომ - საყორნიას ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე, საიდანაც გაივლის ნალორჯომალის უღელტეხილის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მდ. ბაისურას ღელის ხეობაში. აღნიშნულ მონაკვეთებში ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერი ძირითადად გაივლის ალპურ ზონას, სადაც არ არის წარმოდგენილი ხე-მცენარეები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ეგხ-ების ტერიტორიაზე, დამატებით ჩატარებული კვლევების ფარგლებში, დაზუსტდა ანძებამდე მისასვლელი გზების დერეფნები. ეგხ-ს მეოთხე (8,7 კმ) მონაკვეთზე, გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული მისასვლელი გზების გაყვანა დაკავშირებული იყო დამრეცი და კლდოვანი ტერიტორიების მოხსნასთან. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულ ახალ მონაკვეთზე მისასვლელი გზები არსებულია და საჭიროებს მხოლოდ გაწმენდით სამუშაოებს. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოეწყობა 3 მუდმივი გზა, რომლებიც გამოყენებული იქნება ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პროცესში. დოკუმენტის მიხედვით, გზების მშენებლობის მეთოდი დამოკიდებული იქნება გრუნტის მახასიათებლებზე და რელიეფზე. მისასვლელი მუდმივი გზების მშენებლობისათვის გამოყენებული იქნება ღორღი ან დატკეპნილი გრუნტი, ხოლო დროებითი გზები მოეწყობა დამცავი გეოტექსტილითა და ნამსხვრევი ქვით. მისასვლელი გზები იქნება დაახლოებით 4-5 მ სიგანის, რომლის ზედაპირის საფარი იქნება არსებული არაუმეტეს 0.3 მ (გრუნტის დონიდან). მისასვლელი გზები უზრუნველყოფილი იქნება სათანადო სადრენაჟე სისტემით. 110 კვ ეგხ-ს მეორე (2,89 კმ) და მეოთხე (8,7 კმ) მონაკვეთების დერეფნის ცვლილების შედეგად შემცირდება ცენტრალური გზიდან ანძებამდე მისასვლელი გზების სიგრძეები, რაც დაკავშირებული იქნება როგორც მიწის რესურსებზე, ისე ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირებასთან.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია 220 კვ. და 110 კვ. ეგხ-ის დერეფნების პიკეტური აღწერა და გეოლოგიური კვლების შედეგები (ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით), რომლის მიხედვით, ეგხ-ის ბუფერი ძირითადად გადის სტაბილურ გეომორფოლოგიურ და გეოლოგიურ გარემოში, ხოლო რიგ შემთხვევაში, კვეთს დანაწევრებულ რელიეფს, მთიან სისტემებს და მდინარეთა ხეობებს. საპროექტო ტერიტორიაზე ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობისათვის გეოლოგიური პირობები ხელსაყრელია. ბუფერის გასწვრივ საერთო შეფასებით განსაკუთრებული სირთულის გეოდინამიკური პროცესები (მეწყრული, კარსტული, სუფოზიური (გამორეცხვითი) მოვლენები ან ინტენსიურად გაჯირჯვებადი (მაგ. ლიოსური) გრუნტების გამოვლენა მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მცირდება საპროექტო საყრდენების რაოდენობა და

შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისად შემცირდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში 220 კვ ეგბ-ის გაყვანისათვის გათვალისწინებული 10 ანძის მოსაწყობად მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, ნაცვლად გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული 360 მ<sup>3</sup>-ის ნაცვლად, შეადგენს 300 მ<sup>3</sup>-ს, ხოლო 110 კვ ეგბ გაყვანისათვის გათვალისწინებული 162 ანძის მოსაწყობად მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა, ნაცვლად 2700 მ<sup>3</sup>-ისა შეადგენს 2430 მ<sup>3</sup>-ს. მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საყრდენების საძირკვლების მოსაწყობად ამოღებული გრუნტი, დროებით დასაწყობდება ანძების მიმდებარედ და შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც უკუყრისთვის, ისე მისასვლელი გზების მოსამანდაკებლად. იმ შემთხვევაში, თუ, ექსკავირებული გრუნტი არ იქნება ვარგისი უკუყრისა და გზების მომანდაკებისათვის, გადაეცემა შესაბამის მუნიციპალურ სამსახურს შემდგომი მართვის მიზნით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური შესწავლისას, 110 კვ. ეგბ-ის მეოთხე მონაკვეთზე (3,89 კმ) დაფიქსირდა ქვებისგან შედგენილი სხვადასხვა ფორმის ქვაყრილები (GPS კოორდინატები: X-273059,52, Y-4634050,91). სკრინინგის განცხადების მიხედვით, ეგბ-ის მშენებლობის ეტაპზე მიწის სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია არქეოლოგიის ზედამხედველობით. აღნიშნული მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების განხორციელების პროცესში არქეოლოგიური ნიშნის ან არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში შეწყდება სამშენებლო სამუშაოები და დაუყოვნებლივ ეცნობება შესაბამის ორგანოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ეგბ-ის დერეფანში სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა არ მიმდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში, თუმცა, ექცევა გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის საკვლევ არეალში და უშუალოდ ემიჯნება პონტოს მუხის აღკვეთილის ტერიტორიას. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება ეროვნული პარკის დაარსება, ეგბ-ის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს დაცული ტერიტორიის დაარსებას. ასევე, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ჩატარებული კვლევების, მშენებლობის, ფუნქციონირებისა და შემარბილებელი ღონისძიების დროს მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და გამოყენებული იქნას ის

სტანდარტები, რომელიც ითვალისწინებს დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორია ექცევა 2020 წელს შემუშავებული კავკასიის ეკორეგიონალური კონსერვაციის გეგმის მიხედვით წარდგენილ „დასავლეთ მცირე კავკასიის“ კონსერვაციული ლანდშაფტების ფარგლებში (ბახმაროს ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ტერიტორია - Key Biodiversity Area of Bakhmaro) რომელიც წარმოდგენილია ფაუნის 4 სახეობის, კერძოდ, მეჭელის ცხვირნალას, კავკასიური როჭოს, კავკასიური გველგესლასა და კავკასიური სალამანდრას მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარდა სავსე ბიოლოგიური კვლევები. კვლევის შედეგების მიხედვით, საპროექტო დერეფანში ზემოაღნიშნული ფაუნის 4 სახეობიდან არცერთი არ დაფიქსირებულა. ამასთან, საპროექტო დერეფნის ძირითადი ნაწილი ექცევა ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღალ ნიშნულზე და მოცემულ მონაკვეთზე ზემოთჩამოთვლილი სახეობების არსებობა ნაკლებად სავარაუდოა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქობულეთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფებზე, ასევე, გაიგზავნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებების სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ქობულეთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ელექტროგადამცემი ხაზების 220 კვ. „პალიასტომი 1“-ს შეჭრა 220/110/35 კვ. ქს „ოზურგეთში“, 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანისა და 220/110/35 კვ. ქვესადგური „ოზურგეთის“ განთავსების ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის, 220 კვ.

„პალიასტომი 1“-ს შეჭრა 220/110/35 კვ. ქს „ოზურგეთში“ და 110 კვ. ორჯაჭვა „ოზურგეთი-ზოტიჰესის“ ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანასა და ქვესადგური „ოზურგეთის“ განთავსებაზე“ 2019 წლის 12 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1078) დადგენილი პირობების დაცვით, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქობულეთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

